ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3108513

ნომერი: AR1475035

თარიღი : 02.02.2017

გაცემის თარიღი : 20.02.2017

გაცნობის თარიღი : 20.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფოსტის , N 3/5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გუთნის , N 7 / ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე გოცირიძე პ/ნ 01015013316
- თბილისი ჩახრუხაძის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 2

თებერვლის #AR1475035 განცხადებით მომართა ალექსანდრე გოცირიძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანებით ქ. თბილისში, ფოსტის ქ. N3/5/გუთნის ქ. N7/ქეთევან წამებულის გამზ. N24-ში, შ.პ.ს. "რეალთი ავლაბარი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 08 აგვისტოდან 2018 წლის 08 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, არასწორად იქნა მითითებული საერთო ფართობი, ავტოსადგომის ფართობი და საზაფხულო ფართობი,
აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობად (კვ.მ).:1631.8; ავტოსადგომის ფართობად (კვ.მ).: 4270.0 და საერთო ფართობად (კვ.მ).: 19892.1.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. გარდა ამისა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესწორებული გეგმა 27.00 ნიშნულზე და გეგმა -3.15 ნიშნულზე, რომლებიც იდენტურია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა გაასწოროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობად (კვ.მ).:1631.8; ავტოსადგომის ფართობად (კვ.მ).: 4270.0 და საერთო ფართობად (კვ.მ).: 19892.1;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანებით შეთანხმებული 27.00 და -3.15 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 2 თებერვლის #AR1475035 განცხადებით წარმოდგენილი 27.00 და -3.15 ნიშნულების გეგმებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 აგვისტოს №2758123 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.